მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ტექნიკური ხარვეზის შეწორება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ტექნიკური ხარვეზის შეწორება გულისხმობს მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულებას აღმოჩენისთანავე შეასწოროს თავის მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გამოწვეულია დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტო გადატანით და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით. ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვლება ასევე ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობა.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ტექნიკური ხარვეზის შეწორებაზე უფლებამოსილი ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ტექნიკური ხარვეზის შეწორების მოთხოვნის წესი და პირობები

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ტექნიკური ხარვეზის შეწორების მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლს.

ტექნიკური ხარვეზის შეწორების მოთხოვნით წარსადგენი დოკუმენტები:

- განცხადება (აღნიშნული ივსება დაინტერესებული პირის მიერ წინასწარ მომზადებული ფორმის შესაბამისად, რომელიც ინახება დოკუმენტების მიმღებ–ოპერატორთან ან/და მოქალაქე თავად ადგენს მოთხოვნის შესაბამის განცხადებას);
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში ტექნიკური ხარვეზის შეწორება ხორციელდება 1 თვის ვადაში მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე. ვადის ათვლა იწყება განცხადების შეტანის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს, ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

დამატებითი ინფორმაცია

თუ დაინტერესებულ პირს სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილეობის მიღება სურს არა პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხრიდან კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია, რაც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.